№ 128 თიბათვე 21, ოთხშაბათი — 1889 — თიბათვე 21, ოთხშაბათი № 128


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასახეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას: ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889

ტფილისი, 20 თიბათვე

ჩვენს ხალხს რომ არა ჰყავს საკმაო რიცხვი ექიმებისა, ყველასათვის აშკარაა. მრავალი ისეთი სოფელი იპოვება ჩვენში, სადაც ექიმი თავის დღეში არ უნახავთ და აფთიაქის სახელი ხომ სრულიად არ გაუგონიათ. რაიმე სენი და ავადმყოფობა რომ მოედება სოფელს, მაშინაც-კი იშვიათად მოაგონდებათ ექიმი და, ვისაც მოაგონდება, იმას არავითარი საშუალება და მოხერხება არა აქვს ექიმი დაიბაროს და რიგიანად უწამლოს თავისს თავს და ან თავისს ნათესავსა და მოძმეს. ეს საკვირველიც არ არის, რადგანაც თითო მაზრას, რომლის მცხოვრებთა რაოდენობა რამდენიმე ათი ათასობით ითვლება, თითო ექიმი ჰყავს, რომელსაც არავითარი საშუალება არა აქვს თვალ-ყური ადევნოს მთელს მაზრას და ყველა ავადმყოფს ხელი გაუწვდინოს და წამალი მიაშველოს. ყოველივე ესე ექიმმა კიდეც რომ შესძლოს, რაიცა ყოვლად წარმოუდგენელია, მაინც ნამდვილს ექიმობას ვერ გახწევს, რადგანაც ხალხს სამკურნალო, ან თავშესაფარი არა აქვს და ოჯახის გარემოება ხელს არ უმართავს ნამდვილსა და წესიერს წამლობას.

ამიტომაც ზოგი ადვილად შესაჩერებელი და მოსასპობი ავადმყოფობა მუსრს ადენს სოფლის ხალხს, წოდებისა და სქესის განურჩევლად. წელიწადი ისე არ გაივლის ხოლმე, რომ რომელიმე სენმა მრავალი მსხვერპლი, დიდი თუ პატარა, არ შეიწიროს და ამ წუთი-სოფელს არ გამოასალმოს. წლიდგან წლამდე ხალხი ამ გვარს გაჭირებულს ყოფაშია და არც მცოდნე და მხნე ექიმები ჰყავს და არც აფთიაქები და სამკურნალოები აქვს. რასაკვირველია, სადაც ხალხი ამ ყოფაშია მოქცეული, იქ ბურთი და მოედანი სოფლის მატყუარა და მაწანწალა მკურნალებისა და მკითხავების ხელთ არის. ეს მკურნალები და მკითხავები წამლითა და სიტყვით ექიმობენ ხალხს, მაგრამ ვაი ამისთანა ექიმობას. ვინ მოსთვლის რამდენს ზარალს აძლევენ ეს ვაქბატონები, თუ ქალბატონები ყოვლად უსაშუალო ხალხს? ვინ არ იცის, რომ ამათის წყალობით მრავალი მხნე და გამრჯელი მუშა კაცი გამოსალმებია ქვეყანას, ოჯახს, ცოლ-შვილს. ამისი მაგალითი ყველას ბევრი ეცოდინება. ამ გვარი მაგალითები მწერლობაშიაც საკმაოდ ბევრი ყოფილა მოხსენებული და ჩვენ მხოლოდ ერთს საზარელს ამბავს მოვაგონებთ მკითხველებს: ამას წინად, როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, თელავის მაზრაში ერთმა დალაქმა დანით ყელი გამოსჭრა ერთს გლეხს, რომელსაც ყელში რაღაც მუწუკი გასჩენოდა. ამ ამბავს ხალხი ისე მიეგება, თითქო ამ შემთხვევაში დალაქი არაფერს შუაში იყოსო. უვიცმა და თავ-გასულმა დალაქმა-კი ბრალი თავის ხელით ყელ-გამოღადრულს გლეხს დააბრალა: თავი მაგრად არ ეჭირა და თავი თითონ დამაკვლევინაო. ამ გვარი ამბავი იშვიათი არ არის, მაგრამ ხალხი, როცა დასჭირდება, მაინც სოფლის მკურნალსა და მკითხავს მიჰმართავს ხოლმე, რადგანაც სხვა მაშველი არავინა ჰყავს.

ამას გარდა ვინ მოსთვლის, რამდენს ფულსა და სარჩო-საბადებელს აძლევს ხალხი ამ მკურნალებსა და მკითხავებს, რომლებიც არავითარს საშუალებას არა ჰზოგავენ და არ ერიდებიან, ოღონდ რაც შეიძლება მეტი ხელ-ფასი აიღონ. თუ მორჩა ავადმყოფი, ხომ კარგი, ამას მკურნალი თუ მკითხავი თავისს ხელობას დააბრალებს; თუ მოკვდა ავადმყოფი, ეს მკურნალის ბრალი არ იქნება, რადგანაც მკურნალი თავის ხელით საიქიოს გასტუმრებულის კაცის სიკვდილს ბედის-წერასა და განგებას მოახვევს თავზედ.

რა ეშველება ამ გვარს ყოფაში მოქცეულს ხალხს, რომელსაც თან სხვა-და-სხვა ავადმყოფობა ადენს მუსრს და თან სოფლის მკურნალისა თუ მკითხავის უცოდინარობა და უსინიდისობა? სხვაგანაც ყოფილა და არის ხალხი ამ ყოფაში და ბევრი განსაცდელიც გამოუვლია სოფლის მკურნალებისა თუ მკითხავების წყალობით, ხოლო ყველგან, სადაც ხალხის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ფხიზლად და გულის ტკივილით ეპყრობიან, ყველგან სცდილობენ ხალხს ექიმები და წამლები მიაშველონ. რუსეთში ამ მხრით ქვეყანას დიდი სამსახური გაუწია ერობამ, რომელმაც, სადაც-კი ფეხი მოიკიდა, ექიმებიც განაწესა, სამკურნალოები და აფთიაქებიც გამართა. იქ, სადაც დღეს ერობა ჰმოქმედობს, სოფლის მკურნალსა და მკითხავს ნაკლები გასავალი აქვს და სანიტარული და ჰიგიენური ვითარება ხალხისა უკეთ არის შესწავლული და გამორკვეული.

მოკლე წერილში შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა სიკეთე, რომელიც ერობამ მიანიჭა ხალხს. ერობამ წინ წასწია არა მარტო საერო განათლება, სამართალი, და განაგარგა მისვლა-მოსვლა ხიდებისა და გზების გამართვით, არამედ ჰშველის კიდეც ხალხს ექიმობითა და წამლობით და ყოველთვის თვალ-ყურს ადევნებს ერის სანიტარულსა და ჰიგიენურს ვითარებას.

რასაკვირველია, ერობა ჩვენშიაც იმავე სამსახურს გაუწევდა ქვეყანას და მრავალს სატანჯველსა და განსაცდელს აგვაცილებდა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენ დღემდე მოკლებულნი ვართ ამ ჩინებულს დაწესებულებას. მანამდე-კი, სანამ ჩვენში ერობას არ შემოიღებენ, როგორც საერო განათლების საქმე, ისე სხვაცა და მათ შორის ერის ექიმობისა დაწამლობისაც, დაქვეითებული იქნება. მართალია, ერობის შემოღება ჩვენს ნებაზე არ არის დამყარებული და ამიტომ ხალხის ჯან - მრთელობასაც ისე ვერ მოვუვლით, როგორც სასურველია, ხოლო გულზე ხელის დაკრება მაინც არა გვმართებს. ჩვენს ხელთ ზოგი ისეთი ღონე არის, რომელიც ცოტათი მაინც შეღავათს მოგვცემს. სახელდობრ, იმის მაგიერ, რომ სოფლის მკურნალებსა და მკითხავებს ვაცარცვინოთ თავი, ბევრად უმჯობესი იქნება დაბა-სოფლებმა საკუთარი ექიმები იყოლიონ. რამდენსამე სოფელს ერთად შეუძლიან ერთი ექიმი დაიჭიროს და თან აფთიაქი და პატარა სამკურნალო გაიმართოს. იქნება ისა სთქვან, რომ ამას დიდ-ძალი ხარჯი დასჭირდებაო. მართალია, ხარჯი აუცილებელია, მაგრამ ის ხარჯი რომ ვიანგარიშოთ, რასაც ხალხი სოფლის მკურნალებსა და მკითხავებს ანდომებს, და ის ზარალი, რომელიც ადამიანს ხანგრძლივის ავადმყოფობის გამო ეძლევა, ცხადად დავინახავთ, რომ ნასწავლის ექიმის შენახვა და აფთიაქის გამართვა ბევრად უფრო იაფად დაჯდება, ვიდრე სოფლის მკურნალებისა და მკითხავებისა. შვიდას-რვაას კომლმა კაცმა რომ წლიურად ორი-სამი მანეთი გაიმეტოს, საკუთარს ექიმსაც იყოლიებს და პატარა აფთიაქსაც გაიმართავს. ეხლა-კი თითო კომლს კაცს, ორი-სამის მანეთის ზარალი-კი არა, რამდენისამე თუმნისა და ასის მანეთისა მოსდის მკურნალებისა თუ მკითხავების წყალობით და ოჯახის რამდენისამე წევრის უდროვოდ სიკვდილისა თუ ხანგრძლივის ავადმყოფობის გამო.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 20 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, გამოცხადებულისამებრ, მოჰხდა საჯაროდ გაყიდვა მამულებისა, რომელთ პატრონებსაც ვადაზედ შესატანი ფული არ შეეტანათ ბანკში. სულ გასასყიდად ჩაერდა თერთმეტი მამული, ამათგან შვიდი ქალაქისაა და ოთხი სოფლისა. ქალაქის მამულებისა გაიყიდა შვიდიდამ ხუთი და ორი დარჩა ხელ-ახლად გასასყიდად თოთხმეტ დღეს შემდეგ, და სოფლის მამულები-კი სულ გაიყიდა.

## ფელეტონი

### მკურნალი დედაკაცი

და

### დედაკაცების სამკურნალო სწავლა-განათლება.

ზემოხსენებულ საგანზედ ვრცელი წერილი შეუდგენია ერთს რუსის ქალს, კაროლინა შულცეს, და ეს თავისი წერილი, ანუ დისერტაცია წარუდგენია პარიჟის სამკურნალო უნივერსიტეტისათვის დოქტორობის ხარისხის მისაღებად. წერილში დაწვრილებით არის მოხსენებული, სად და რომელს ქვეყანაში როგორ დაიწყო დედაკაცმა მკურნალობა და როგორ მიიღო სამკურნალო სწავლა-განათლება. ჩვენ მოკლედ ვუამბობთ მკითხველებს, რაც საყურადღებოა შულცეს წერილში ამ საგნის თაობაზე.

პირველი დედაკაცი, რომელსაც მიულია დიპლომი მკურნალობის დოქტორისა, ყოფილა ჩრდილო-ამერიკელი ქალი, ელისაბედ ბლეკუელი. ელისაბედს ბევრი დაბრკოლება დახვდა და ბევრი წინააღმდეგობა გაუწიეს, ვიდრე თავის სურვილს მიაღწევდა. პირველად 1844 წელს ეცადა, რომ მკურნალობის სწავლა დაეწყო ფილადელფიის სამკურნალო სასწავლებელში. სასწავლებლის მთავრობამ ელისაბედს პირდაპირ ცივი უარი უთხრა: დედაკაცებს ვერ მივიღებთ სტუდენტებ შორის, ეგ რა უცნაური აზრი მოგსვლია, დედაკაცი და მკურნალობა ვინ გაიგონაო. ელისაბედ ბლეკუელმა მერე ყველა სამკურნალო სკოლებს მიჰმართა და სადაც-კი სამკურნალო სასწავლებელი იყო, ყველგან სთხოვა, მინდა მკურნალობის სწავლა და მიმიღეთ სტუდენტადაო. ზოგმა სასწავლებელმა ელისაბედს პასუხი არ აღირსა და ზოგმა-კი ფილადელფიის სკოლისებურად ცივი უარი შემოუთვალა. სხვას ვისმე ყოველი იმედი და სასოება დაეკარგებოდა ამ ამბის შემდეგ, მაგრამ მხნე და გამბედავმა ელისაბედმა არ გადიწყვიტა იმედი, არ დაანება თავი თავის სურვილს და ბოლოს, როგორც იყო, მიაღწია საწადელს. ნიუ-იორკის შტატის ერთმა სასწავლებელმა, დიდს ყოყმანს შემდეგ, გადასწყვიტა, მივიღოთ სტუდენტად ეგ ქალიო. თუ აქამდე არ ყოფილა ასეთი მაგალითი, ეგ კიდევ საბუთი არ არის, რომ არც შემდეგ უნდა იყოსო. მართლაც მიიღეს ელისაბედი და იმანაც დიდის ხალისით დაიწყო სწავლა. მშვენიერად გაათავა კურსი და მიიღო დიპლომი მკურნალისა 1847 წელს.

ამ ნაირად ამერიკელ დედაკაცობას გზა გაეხსნა სამკურნალო სწავლა-განათლებისა. ელისაბედ ბლეკუელის მაგალითს ბევრმა სხვამ წაჰბაძა ამერიკაში. 1850 წელს ცალკე სამკურნალო სკოლაც დაარსდა დედაკაცებისათვის, ჯერ ბოსტონში და მერე ფილადელფიაში. უნივერსიტეტების სამკურნალო ფაკულტეტებმაც კარი გაუღეს დედაკაცებს და წავიდა წინ საქმე. ნიუ-იორკშიაც ცალკე სკოლა დაარსდა 1868 წელს, ჩიკაგოშიაც 1870 წელს. თითოეულს კერძო სადედაკაცო სასწავლებელში ყოველ-წლივ 300—400 დედაკაცი სწავლობს დღეს მკურნალობას. სხვა საერთო სასწავლებელში კიდევ ირიცხება სულ 500—600 მოსწავლე და მსმენელი ქალი. ჩრდილო-ამერიკას ცხოვრებაში გამოსულია და მკურნალობს ამ ჟამად 3000 დედაკაცი. ამათში ბრუკლინის ქალაქში 580, ფილადელფიაში—460, ნიუ-იორკში—450, მასაჩუსტში—375, ბოსტონში—345, პენსილვანიაში—270, მიჩიგანში—180. ბევრი მკურნალი დედაკაცი მხოლოდ რომელსამე სამკურნალო საგანს დაემყარა და დედაკაცთა და ყმაწვილთა ავადმყოფობას არჩენს. ნიუ-იორკის სადედაკაცო სამკურნალო სკოლაში 30 პროფესორში 16 პროფესორი დედაკაცია, ფილადელფიისაში 29 პროფესორში 15 დედაკაცია. ასამდე მოითვლება ამერიკაში ასეთი პროფესორი დედაკაცი და სამოც-და-ათამდე კიდევ სამკურნალოსა და ქსენონების უფროს-ზედამხედველებად არიან. ამერიკელი მკურნალი დედაკაცები ომშიაც თან დასდევდნენ ლაშკარს და შველოდნენ დაჭრილს. როცა სამხრეთსა და ჩრდილოეთს ბრძოლა ჰქონდათ ყმობისა და მონობის გამო, ლაშქრობაში ორი დედაკაცი ჯარა-ექიმად იყო. ერთი მათგანი დაიჭრა კიდეც ვირგინიის ლაშქრობაში და მერი აიტის თვალიც გამოსთხარა ტყვიამ.

დღეს მექსიკაშიაც მოიპოვება თითო-ოროლა მკურნალი დედაკაცი. მაგრამ ახლა ევროპაში ვნახოთ, როგორ დაიწყო და როგორ სწარმოებდა ეს საქმე. ავიღოთ ჯერ საფრანგეთი.

საფრანგეთში პირველი დედაკაცი, რომელმაც ითავა და დაიწყო ეს საქმე, იყო ქალბატონი მადლენა ბრე. 1866 წელს ამ ქალმა სთხოვა პარიჟის სამედიცინო ფაკულტეტს მიმიღეთ სტუდენტებ შორისაო. სახელოვანმა ქიმიკოსმა ვიურცმა გაამხნევა გამბედავი დედაკაცი და დაჰპირდა შემწეობას. ვიურცმა ბრეს თხოვნა წარუდგინა საერო განათლების მინისტრს დიურუის, რომელმაც ქაღალდი მინისტრთა კომიტეტს გარდასცა განსახილველად. რაკი ასეთი ქაღალდი პირველი იყო და ჯერ მაგალითიც არა ყოფილიყო დედაკაცის მიღებისა სამკურნალო ფაკულტეტზე, მინისტრების უმეტესობა წინააღმდეგი შეიქმნა ასეთის საქმისა, მაგრამ იმპერატრიცა ევგენიამ დედაკაცების მხარე დაიჭირა და მადლენა ბრე მიიღეს სტუდენტად. იმავე დროს შევიდა სტუდენტად პარიჟის სამედიცინო ფაკულტეტზე ამერიკელი ქალი მისს პენტამ, ინგლისელი მისს გარრეტ და რუსის ქალი გონჩაროვი.

მას უკან დედაკაცების სამკურნალო სწავლა-განათლებას აღარა უშლიდა-რა და თანდათან დედაკაცების რიცხვი უფრო და უფრო მატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ქალაქის საბჭომ ორშაბათს, 19 ივნისს, განიხილა სხვათა შორის სარჩიელი გამგეობისა მასზედ, რომ კვირა დღეობით აღკრძალულ იქმნას ტფილისში ვაჭრობა ყოველ მაღაზიასა და დუქანში, გარდა სასმელ-საჭმელის სავაჭროებისაო. მიზეზიც ეს იყო, რომ დიდ-ძალი ნოქარი დაესწრო საბჭოს კრებას. გამგეობის აზრი ის იყო, რომ ფრიად საჭიროა კვირაში ერთი თავისუფალი დღე მაინცა ჰქონდეს ნოქარს და არ იჯდეს მაღაზიაშიო. ხმოსანმა ქოჩორიანცმა ამაზედ სთქვა, რომ საბჭოსთვის ძნელი გასაბედია მაგ საქმის დაწესება: მაღაზიების დაკეტით ნოქარს შეღავათი მიეცემა, მაგრამ ალები-კი დიდს ზარალში ჩაცვივიან, რადგანაც ერთი დღე აკრძალული ექმნებათ ვაჭრობაო. საბჭოს რა ნება აქვს ტყუილი ზარალი დაატეხოს თავს ქალაქის ვაჭრებსაო. ხმ. მაჩაბელმა, ბებუთოვმა და სხვებმა სთქვეს, რომ ამ წესის შემოღებით არავითარი ზარალი არ ექნებათ ვაჭრებს, რადგან მუშტარი, რომელსაც კვირას უნდოდა საქონელი და ვერსად ვერ იშოვნა მაღაზიების დაკეტვის გამო, ორშაბათსა და სხვა დღეებში წავა იმავ საქონლის სასყიდლადაო. რაკი ერთ ნაირი მაღაზიები დაკეტილი იქნება, ამიტომ ზარალში არც ერთი ვაჭარი არ ჩავარდებაო. შემდეგ ცოტაოდენის ბაასისა, ნოქართა სასიხარულოდ, საბჭომ დაადგინა კვირა-დღეობით დაკეტილი იყოს ტფილისის ყველა მაღაზიები, გარდა სასმელ-საჭმელებისაო.

ამ კრებაზე საბჭომ შეიწყნარა გარდაწყვეტილება კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს აპატიოს დარჩენილი ვალი დაფასებისა. კომისიის წინადადებით, ოცამდე მოვალეს ეპატია დარჩენილი ვალი დაფასებისა; მათ შორის ყველაზე მომეტებული ვალი იყო სულხანიშვილებისა, თითქმის ოც-დაათ თუმნამდე. ცხარე ბაასი გამოიწვია გამგეობის სარჩიელმა რომ დამტკიცებულ იქმნას ხარჯთ აღრიცხვა 1889 წლისა შესახებ მილის წყალის ექსპლოატაციისა და აგრეთვე იმისა, რომ მილის წყალი სხვა ადგილებშიაც იქმნას გაყვანილიო. ხმ. ალიხანოვი, მ. ი. თამამშოვი, კაიდანოვი და სხვანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ გამგეობა არ შეუდგეს ხარჯის გაწევას, ვიდრე საბჭო არ დაამტკიცებს ხარჯთ-აღრიცხვას; ამასთანავე გამგეობა თავისის უფლებით არა სცილდებოდეს იმ საზღვარს ხარჯისას, რომელსაც დაამტკიცებს საბჭოვო. სარჩიელი გამგეობისა, განსაზღვრული ამ ხმოსანთა აზრით, მიღებულ იქმნა საბჭოს მიერ.

*** მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალადის შუამდგომლობით ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნულ იქმნა რექტორი მოგილიოვის სასულიერო სემინარიისა არხიმანდრიტი ნიკოლოზი. მამა ნიკოლოზმა, რომლის ნამდვილი გვარი მიხეილ ზაქარიას ძე ზიოროვია, სამსახური დაიწყო 1875 წ., გაათავა რა სწავლა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. 1875 წლიდგან 1883 წლამდე მ. ნიკოლოზი მასწავლებლად იყო რიაზანის სემინარიაში, იმ დროს, როცა რიაზანის საარხიეპისკოპოსო კათედრა ეჭირა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას პალადის. 1883—1885-მდე ნიკოლოზი ინსპექტორად იყო ვოლოგდის სასულიერო სემინარიაში და იქიდგან 1885 წელს გადაყვანილ იქმნა მოგილიოვს იმავე თანამდებობაზედ. 1887 წელს მ. ნიკოლოზი ბერად შედგა და მაშინვე დანიშნულ იქმნა იმავ მოგილიოვის სასულიერო სემინარიის რექტორად.

*** ბ-ნი საბინინი აბეჭდვინებს რუსეთში ერთს დიდს სურათს სასულიერო შინაარსისას ოლეოგრაფიით და 22 ფერით. სურათს ეწოდება სახელად „საქართველოს ეკკლესიის დიდება“. სურათი მზად იქნება საშემოდგომოდ. ბ-ნ საბინინს განზრახვა აქვს თითო ცალი ამ სურათისა შესწიროს უსასყიდლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლებს.

*** ქართულს დრამატიულს დასსა და სომხურს განუზრახავთ წარმოდგენები ჰმართონ ამ ზაფხულს ტფილისის „სობრანიაში“. პირველი წარმოდგენა იქნება მომავალს სამშაბათს.

*** გ. ჩიჩუას აბრეშუმის საკეთებელი ადგილი ასტრახანში უნახავს ამ დღეებში თავადს ლ. ვიაზემსკის, რომლის თვალ-წინაც ქართველ დედაკაცებს ამოუხვევიათ გამოხარშულის პარკებიდამ აბრეშუმის ძაფი. ბ-ნს ჩიჩუასაო, ამბობს იქაური გაზეთი: განზრახვა აქვს სამუდამო სადგური დაარსოს ასტრახანში ამ სახეირო საქმის გასავრცელებლად ახლო-მახლო სოფლებშიო. ჩიჩუავე ჰფიქრობს თავისი ნაკეთები აბრეშუმი გამოჰფინოს სარატოვის სამეურნეო გამოფენაზეო.

*** დაიბეჭდა და გამოვიდა ბ-ნ არ. ქუთათელაძის „პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა“, მეორე შეკრებული გამოცემა. ეგ სახელმძღვანელო ნება-დართულია სახმარებლად უწმინდესის სინოდისაგან სასულიერო სასწავლებლებსა და ტფილისის სემინარიაში და აგრეთვე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან — საერო სასწავლებლებში.

*** ბ-ნს ვ. ალნიაშვილს კაი ხანია, რაც გაუგზავნია ქაღალდი ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამართველოსათვის პეტერბურგში და უთხოვნია, ნება-რთვა მომეცით საყმაწვილო ჟურნალის ბეჭდვისა ქართულადაო. მთავარ-სამართველოს მოუთხოვია ცნობანი ალნიაშვილის შესახებ და, როგორცა სჩანს, საქმე მალე გადაწყდება.

*** რამდენიმე მაგალითი იყო ტფილისში, რომ ჩვენებურს ვაჭრებს, მეტადრე ბაყლებსა და მეფურნეებს, ტყუილი სასწორი და საწონი ქვები უპოვნა პოლიციამ. გუშინ-წინ კიდევ პოლიციამ მოასწრო ერთს კინტოს, რომელიც ხილსა ჰყიდდა თაბახით და ყალბი საწონი ქვები ჰქონდა. ეს კინტო ვიღაც ივანე ხეჩატუროვია და მოჯამაგირედ უდგა ბაყალს სიმონ არუთინოვს. კინტოს ქვები წაართვეს, ოქმი შეუდგინეს და გამომძიებელს გადასცეს.

*** 15-ს ივნისს ქუთაისში იყო გამართული სატანცაო საღამო ქუთაისის გიმნაზიაში ღარიბ კურსდასრულებულთა სასარგებლოდ. საღამო გამართულ იყო დედათა გიმნაზიის დარბაზში, რომელიც დაუთმო უფასოდ ყმაწვილებს პრინცესა ოლდენბურგისამ, აგრაფენამ, ამ გიმნაზიის მზრუნველმა.

საღამოს საკმაოდ შეიკრიბა საზოგადოება და იმედი იყო, უფრო გაცილებით მეტიც შეიკრიბებოდა, რომ ავდარსა და დიდს წვიმას ხელი არ შეეშალა. მაინც, რაც უნდა იყოს, შემოსავალი ბლომად მოგროვდა, სულ 400 მ. და 56 კაპ. აქედგან დაიხარჯა მუსიკისა, ბუფეტისა, განათებისა, სკამებისა, მოსამსახურეებისა და სხვა საჭირო სამკაულისა და მოწყობისათვის 69 მ. და 95 კაპ.

დანარჩენი ფული 330 მ. და 61 კაპ. დაურიგდა შვიდს ღარიბს კურსდასრულებულს, სათითაოდ 47 მ. და 23 კაპ.

საღამოს მოთავე და გამგე ბრძანდებოდა კნეინა ელისაბედ წერეთლისა. მხურვალე დახმარება და შემწეობა აღმოუჩინეს ყმაწვილის კაცების ბედის განკარგებას მარიამ ნაკაშიძის, ნინო წულუკიძისა და ეკ. კანდელაკის ასულთ.

მადლობის ღირსია პრინცესა ოლდენბურგისა, აგრაფენა, და ზემოხსენებულნი ასეთის პატიოსანისა და კეთილის დახმარებისა და გარჯისათვის. საზოგადოება თანაგრძნობით მიეგება ამ საღამოს და თითქმის ყველა ბილეთები გაიყიდა.

*** ქუთაისიდგან „ახალ მიმოხილვას“ დეპეშით აუწყებენ: დღეს საღამოს სამოსამართლო პალატამ დაადგინა განაჩენი იმ დამნაშავეთა შესახებ, რომელთაც ჰბრალდებოდათ ყალბის საბუთის ქაღალდებით ქუთაისისა და ბათუმის ხაზინიდგან ფულის გამოტანა. სამოსამართლო პალატამ გადასწყვიტა: ბუჰჰალტერს საგუბერნიო მართველობისას პ. ფედოროვსა, იმავე მართველობის საქმეთა მწარმოებელს ს. სპიროვს, მწერალს მატვეევს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის რეგისტრატორს ე. რატჩენკოს, მოხელეს ტფილისის საკონტროლო პალატისას ა. ტიმოფეევსა და აზნაურს ი. ქემბურიძეს ჩამოერთვას ყოველივე ქონებრივი უფლება და გაგზავნილ იქმნას ციმბირში დასასახლებლად; ა. დგებუაძეს ჩამოერთვას ყოველივე უფლება და გაგზავნილ იქმნას ციმბირშივე საცხოვრებლადაო. ნ. სპიროვისა (ტერმინისა) პალატამ გაამართლა.

*** ყველაფერით უკან ჩამორჩენილი დუშეთის მაზრა სასოფლო სკოლის შესახებაც უკან არის ჩამორჩენილი. მთელს მაზრაში მხოლოდ ორი სასოფლო სკოლაა, თუ არა ვსცდებით, და იმათ მასწავლებლებსაც ჯამაგირი თავის დროზე არ ეძლევათ ხოლმე. წელს, მაგალითად, მუხრანის მასწავლებელს იანვრიდამ დღემდე ჯამაგირი არ მიუღია. ამისი მიზეზი ის არის, რომ სასკოლო ფული სოფელს სახელმწიფო გარდასახადთან ერთად არ შეაქვს ხაზინაში, როგორც სხვა მაზრებშია, არამედ თვით მამასახლისი ჰკრეფავს სოფელში. მეტისმეტია, რომ სოფლის მასწავლებელს, რომელიც იმოდენა უზომო ჯაფას ეწევა, სულ რაღაც ოც-და-ათი-ორმოცი თუმანი ძლივსა ჰქონდეს ჯამაგირი და ისიც თავ-თავისს დროზე ვერ აიღოს და მთელის ექვს თვეობით ელოდოს.

*** ნიგოითი; მეტად უყურადღებოდ არის დატოვებული ჩვენი დაბა. უფრო ვაჭრებისაგან აღარ არის სულის-დგმა, ვაჭრებისაგან, რომელნიც როგორც უნდათ, ისე იქცევიან: არც გადაწყვეტილი ფასებია იმათთვის, არც ნიხრი და არც მაზანდა. როგორც ჰნებავთ, ისე ჰყიდიან საქონელს და მერე ღმერთმა იცის რა საქონელს მეტადრე დაჩაგრულია ამათგან მდაბიო ხალხი და დედაკაცობას ჩვენის რკინის გზის სადგური ხომ სულ უყურადღებოდ არის დატოვებული: არსად დასაჯდომი ადგილი, არსად ბაქანი და გასაგზავნ-გამოსაგზავნ საქონლის დასაწყობი ფარდული. გაზეთებს ხომ ხუთ-

---

ლობდა სამედიცინო სკოლებში. აი მაგალითად 1868 წელს სულ ოთხი სტუდენტი ქალი იყო, 1872 წელს გახდა 8, 1873 წ.—18, 1876 წ.—31, 1881 წ.—40, 1883 წ.—78, 1884 წ.—103, 1885 წ.—108, 1886 წ.—119, 1887—88 წწ.—114. ამათში მეტად ბევრნი იყვნენ რუსის ქალები. სულ ოცის წლის განმავლობაში (1868—1888 წ.) პარიჟის სამკურნალო ფაკულტეტზე ისწავლა 177 ქალმა. მათ შორის 45 ქმარ-შვილიანი იყო. დაუმატეთ ახლა ამათ რიცხვს საფრანგეთის სხვა ქალაქებში მკურნალობის მოსწავლე ქალნი და კარგა საკმაო რიცხვი გამოვა.

მონპელიეში მიიღო შარშან მკურნალის დიპლომი რუსის ქალმა ტკაჩოვმა. მკურნალი დედაკაცები ალჟირშიაც არიან. ერთი მათგანი, სახელად ფიუმა, ანატომიის კათედრის ასისტენტად ირიცხება ალჟირის სამკურნალო სასწავლებელში. უნდა მოვიხსენოთ აგრეთვე მკურნალი დედაკაცი რიბარი, რომელსაც დიდი ადგილი ეჭირა ჯერ თვით საფრანგეთში და მერე ეგვიპტეში. იქ ქედივის ჰარამხანაში ექიმად დაინიშნა და კაიროში დიდი კერძო „პრაქტიკაცა“ ჰქონდა. 1885 წელს საფრანგეთის მთავრობამ პროფესორს პოლ ბერს გაატანა ეს ქალი ანამსა და ტონკინში, იქ დაუძლურდა ბევრის მუშაობის გამო, იქაური ჰავა ვერ აიტანა და ციებ-ცხელებამ მოუღო ბოლო ამ მხნესა და დაუღალავს დოქტორს დედაკაცს.

ინგლისში გაჭირდა მეტად დედაკაცთა მკურნალობის საქმე. პირველად ითხოვა სტუდენტობა ლონდონის უნივერსიტეტში ქალმა ჯექს ბლეკმა 1869 წელს, მაგრამ უნივერსიტეტმა უპასუხა, რომ ჩვენის უნივერსიტეტის წესდება ნებას არ გვაძლევს დედაკაცი მივიღოთ სტუდენტადაო. ჯექს ბლეკი ადგა და ედინბურგის უნივერსიტეტს მიჰმართა. იქ პროფესორებმა უთხრეს, რომ ერთის ადამიანისათვის არა ღირს შევუდგეთ მაგ საგნის განხილვასაო. ბლეკმა მალე იპოვა სამიოდე ამხანაგი და კვლავ მიართვა თხოვნა სამკურნალო ფაკულტეტს. ფაკულტეტის საბჭომ მაშინ-კი მიიღო ეს დედაკაცნი სტუდენტებად, მაგრამ იმ პირობით, რომ თქვენ ცალკე უნდა ისმენდეთ ლექციებს და სტუდენტი-ყმაწვილები ცალკეო. პროფესორებსაც თქვენ მოურიგდით, როგორ და რა პირობით დასთანხმდებიან გიკითხონ თქვენ ცალკე ლექციებიო. ქალები დასთანხმდნენ, დაიჭირეს ეგზამენები და ჩაწერილ იქმნენ სტუდენტების სიებში. ქალებმა დაიწყეს სწავლა და მეტად ბეჯითადაც სწავლობდნენ. ცოტ-ცოტა გადავარდა განცალკევებაც ქალებისა და ყმაწვილებისა. ზოგიერთი პროფესორები კითხულობდნენ თავიანთ ლექციებს, თუმცა არა უმთავრესს, ერთად ქალებისთვისაცა და ყმაწვილებისთვისაც. ასე კარგად მიდიოდა პირველში საქმე, მაგრამ მერე, როცა ჯერი პრაქტიკულ სწავლასა და მუშაობაზე მიდგა სამკურნალოებსა და ქსენონებში, მაშინ-კი სხვა ნაირად დატრიალდა საქმე. ცხადია, რომ მარტო წიგნებით მკურნალობის სწავლება არ შეიძლება. საჭიროა თვით ავადმყოფების მოვლა, მათთან ხშირად ყოფნა და სხ. ამიტომ ქალებმა ითხოვეს, რომ სამკურნალოებში გვატარეთ ჩვენცაო. ეს იტკიცეს სტუდენტებმა და თავგასულობაში ჩამოართვეს: ქალები მეტის-მეტსა თხოულობენო. თუ აქამდე ყმაწვილები ზრდილობიანადა და თავაზით ექცეოდნენ, ახლა დევნა დაუწყეს, მასხარად იგდებდნენ და აბიაბრუებდნენ. ამის მიზეზი ცოტა თვით ედინბურგელი მკურნალები და პროფესორებიც იყვნენ. ერთი მათგანი არა ჰმალავდა და უსირცხვილოდ ამბობდა საქვეყნოდ, რომ ამოდენა ვაჟიშვილები მყავს, იმათ უნდა უშოვნო ალაგები და ქალებს რად მოვუმართავ ხელს, რომ იმათ ისწავლონო. ამისთანა უსირცხვილო ლაპარაკით ქვეყანა და საზოგადოება მალე მიხვდა, რომ ქალებისა და დედაკაცების წინააღმდეგ განათლების საქმეში მხოლოდ ისინი არიან, ვისაც იმათის შეცილებისა ეშინიანთ ცხოვრებაშიო და მაშინათვე დედაკაცების მხარე დაიჭირა. მწერლობამაც იმათ სასარგებლოდ დაიწყო ლაპარაკი და ზიზღით იხსენიებდა იმ სტუდენტებს, რომელნიც უზრდელად და ბრიყვულად ექცეოდნენ თავიანთ ამხანაგ ქალებს. ერთხელ, როცა მოსწავლე დედაკაცებს მეტად გაუჭირა საქმე ერთმა უნივერსიტეტის მთავრობის უმნიშვნელო წარმომადგენელმა, ჯექს ბლეკმა ველარ მოითმინა და გაზეთის შემწეობით აცნობა ქვეყანას, რომ ასე უზრდელად გვექცევა ესა-და-ეს ვაჟბატონი და, ვგონებთ, ამისი მიზეზი იმისი მუდმივი ლოთობა და სიმთვრალეაო. ამ ვაჟბატონმა უჩივლა ბლეკს სასამართლოში, გამაბიაბრუაო. სასამართლომ ნაფიც-მსაჯულებისამ ქალი გაამტყუნა, მაგრამ ისე გაამტყუნა, რომ გამართლებასა ჰგვანდა. ჯარიმად გადასახდელი ერთი კაპეიკი გადაუწყვიტა. მხოლოდ ეს იყო, რომ სასამართლო ხარჯი 23,000 ფრანკი გამტყუნებულს ატვირთეს. ედინბურგში მაშინვე ხელის-მოწერა გამართეს და ეს ფული სრულიად შეავსეს. ამავე დროს ერთმა დედაკაცმა შესწირა ქალების სამკურნალო განათლების საქმეს 25,000 ფრანკი. ეს გარემოება და თითო-ოროლა კიდევ ამისთანა სხვა ძალიან ამხნევებდა ჯექს ბლეკს და იმის ამხანაგებს. რის ვაივაგლახით ბოლოს მიიღეს ნება, რომ ეარნათ სამკურნალოებშიაცა და დანახვით დაენახათ, როგორ სწამლობენ და უაქიმებენ ავადმყოფებს პალატებში. აი გაათავეს კურსიცა, მაგრამ ახლა ეგზამენი იყო საქმე. უნივერსიტეტმა ეგზამენის დაჭერის ნება აღარ მისცა ქალებს. ქალებმა უჩივლეს უნივერსიტეტს სასამართლოში. სასამართლოში საქმე უნივერსიტეტმა მოიგო და ხარჯი დაიდარაბისა 20,000 ფრანკი მომჩივნებს გადახდათ. ამ ამბავმა ძალიან დაალონა ქალები. მეტი ღონე აღარ იყო, ახლა-კი პარლამენტისათვის უნდა მიემართნათ. მაგრამ ამისთვის დიდი დრო იყო სა-

ში ერთს ძლივს ვილებთ და წერილებში-კი ხარჯს ისევ და ისევ გვახდევინებენ.

*** გაზ. „Сѣверный Кавказъ“-ი ამბობს, რომ კავკასიის გამოფენაზე ჰგზავნის სხვა-და-სხვა გვარს საუკეთესოდ გაკეთებულს სკასა და მეფუტკრეობის იარაღს ინსპექტორი საეროსკოლებისა სტავროპოლის გუბერნიაში, ბ-ნი ან. თვალჭრელიძე. ზოგიერთი იარაღი და სკა თვით მისი მოგონილია და მისის ჩვენებით გაკეთებულიო. ბ-ნს თვალჭრელიძესვე დაუწყია თარგმნა ქართულად საუკეთესო სახელმძღვანელოსი ინგლისელის მეფუტკრე კოვანისა. ეს სახელმძღვანელო გამოფენისათვის უკვე მზად იქნებაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. კირბალი (გორის მაზრა), თიბათვის 12. სოფელი კირბალი მეჯვრისხევიდგან აღმოსავლეთით ერთის ვერსის მანძილზეა. აქ სცხოვრობს ოთხმოც კომლამდე სახელმწიფო და საბატონო გლეხ-კაცობა. ბევრს სხვა უბედურებასთან ერთი უმთავრესი უბედურება აქაურის გლეხ-კაცობისა კიდევ ის არის, რომ თავისი სარგებლობა არ ესმით და კეთილი და მართალი გზა ვერ გაურჩევიათ მრუდესა და ბოროტისაგან. ბევრჯელ ურჩევიათ ამათთვის: აგერ ერთის ვერსის მანძილზედ მეჯვრისხევში სასოფლო სკოლაა გამართული და ვინძლოთ როგორც თქვენა ხართ უკან დაცვივნულნი, თქვენი შვილებიც იმ გზაზედ არ დააყენოთ, მიაბარეთ იქა და ცოტაოდენი წერა-კითხვა მაინც ასწავლეთო, მაგრამ ვის შეასმენთ. ეს სკოლა დიდი ხანია რაც იქ არსებობს და აქაურ გლეხ-კაცობისაგან ნეტავი ერთს მაინც მიებარებინოს თავისი შვილი საცდელად. ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ამ სოფლელნი ფოსტის ფულთან ერთად სკოლის ფულსაც ხდილობენ, და ნეტავი ვისთვის, ან რისთვის?

მეტი არ იქნება მოგახსენოთ მაისის წვიმების ჩანადენი ოინები ჩვენსკენ. წვიმებმა ისე ნაირად დახრამა გზები და წაახდინა ბოგირები, რომ, თუ არ ფეხით, ცხენიანსა და ურმიანს აღარ გაევლება. ამასთან ერთი უმთავრესი გზაც ძალიან გააფუჭა. ბოგირები, რომლებიც დიდ ხევებზეა გადებული, ქვეიდგან სულ გამოხრამა ნიაღვრებმა და ჰაერში სდგას ციციბოებზედ. ამ გზაზედ უანგარიშო მგზავრი მიდის და მოდის, როგორც ტფილისისაკენ, აგრეთვე სხვა-და-სხვა სოფლებისკენაც. თუ არ იცის ჩვეულებრივ ურმით მიმავალმა ამ გზის გარემოება, შეუძლებელია დიდს უბედურებას არ შეემთხვეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ არავინა სჩანს იმისთანა, რომელმაც ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს. თვით სოფელს ამისი დარდი არა აქვს, სოფლის მოხელენი თავს არ იწუხებენ და არც ესმით, რომ გაფუჭებულის გზების გაკეთება იმათი მოვალეობაა. ამ სახით მგზავრი ღვთის ანაბარობაზეა დატოვებული.

დასასრულ, არ შემიძლიან არ გავუზიარო მკითხველებს ზოგიერთი სხვა სამწუხარო გარემოებაც კირბალელების ცხოვრებიდგან. აი საქმე რაში გახლავთ: იქნება კიდეც სამი წელიწადი მას შემდეგ, რაც მთავრობისაგან მიწის მზომავი მოვიდა სოფელ კირბალის საზღვრების შესამოწმებლადა და განსაზღვრელად. როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე გამიჯვნის დროს ჩვენს სოფლებში, კირბალშიაც ყველამ გახილა თვალები და ერთი-ერმანეთის ჯიბრზედ გამოაცხადეს დავა. მას აქეთ ასტყდა დავიდარაბა. სახაზინო მამულების წარმომადგენელმა კირბალის კუთვნილს ტყეს, არ ვიცი რა საფუძვლით, მოუჭრა ორი ნაჭერი. ამ ორს ნაჭერში ერთი სოფელ კიტრეულს აკუთვნა და მეორე—ზერტს და ეს ორივე ნაჭერი ხაზინის საკუთრებად აღიარა. წინად-კი ეს აღნიშნული ნაწილები შეადგენდა კუთვნილებას აზ. ანანიაშვილებისას კერძოდ და საზოგადოდ სოფ. კირბალისას. ამ დაჩემებას მოჰყვა ის შედეგი, რომ მთელ ანანიანთ აღეკრძალათ იმ ტყეში სიარული, ანანიანნი დიდს გაჭირებაში ჩაცვივდნენ და თავადაც გამოუცხადეს ხაზინას დავა. ამ დავას მთავრობამ მიაქცია ყურადღება და დანიშნა გამოსაძიებლად ოლქის სასამართლოს წევრი ბ-ნი დოლგოვი. გაიგეს თუ არა ეს გარემოება, ანანიაშვილებს ეგონათ, ეს-ეს არის გვეშველა და ეხლა-კი მოგვეცემა ნება შეშისა და ფიჩხის გამოტანისა სადაო ტყიდგანაო. საკუთრების გარჩევას ჯანი გავარდეს, თუნდ ათ წლამდისაც ნუ გაირჩევა, ოღონდ ნუ დაგვიშლიან შეშა-ფიჩხის გამოტანას ტყიდამაო. ამასობაში ადგილობრივ გამოსაძიებლად მოვიდა ბ-ნი დოლგოვი და სინიდისიერად შეუდგა გამოძიებას. მალეც გაათავებდა გამოძიებას, ზოგიერთ ვაჭბატონების მიზეზიანობა რომ არ გადაჰღობებოდა წინ. ამ ზოგიერთებში ყველას გადააჭარბა ტყის მცველის თანაშემწემ ოსმა გიქაშვილმა, რომელიც ყოველის ღონისძიებით სცდილობდა ხაზინისთვის მიეკერძნა ტყე და ანანიაშვილებისათვის გამოეწირნა.

სხვათა შორის ერთი ასეთი შემთხვევაც იყო: ბ-ნმა დოლგოვმა უბრძანა ყველა დაბარებულს მამასახლისებს და კირბალის მამასახლისსაც, რომ ამორჩეული მოწმები დანიშნულს ადგილებზედ მიეყვანათ. ყველა მამასახლისმა შეასრულა ბრძანება ბ-ნ დოლგოვისა, მაგრამ როდესაც მობრძანდა შემდეგ აღნიშნულს ადგილას და მოჰკითხა კირბალის მამასახლისს ამორჩეული მოწმები, იმან დანიშნული მოწმები ვეღარ წარუდგინა, მხოლოდ წარუდგინა სხვა გლეხები, სოფელ კიტრეულსა და კირბალში მცხოვრებელნი, რომელნიც ამ საქმისთვის სრულებით არ იყვნენ მოწვეულ - მოწოდებულნი. რასაკვირველია, აქ თითონ ბ-ნი დოლგოვიც დარწმუნდა, რომ ნამდვილად ეს ხალხი შეგულიანებულნი უნდა იყვნენო. შემდეგ ამისა დაბრუნდნენ სოფელში საკითხავად ფიცს ქვეშ და, რადგანაც გვიან-ღა იყო, დოლგოვმა უბრძანა მამასახლისებს მეორე დღისათვის წარმოედგინათ ამორჩეული მოწმები. მეორე დილას მამასახლისებმა დოლგოვს მოახსენეს: „ბატონო! ეხლა ოსი გიქაშვილი დაგვიხვდა გზაზედ, ჯერ გვიწვია თავისს სახლში და, რაკი ჩვენ არ გავყევით, მოგვდგა და ცოლი და დედა აღარ შეგვარჩინა. თან გვეუბნებოდა: თუ ვინმე თქვენგანმა ანანიაშვილებისკენ სთქვით და ან სხვა აზნაურიშვილებისაკენაო, მაშინ მე ვიცი რასაც დაგმართებთო. პასუხად გლეხებს მიეგოთ: ჯვარსა და სახარებას ხელში გვაძლევენ და როგორ შეგვიძლიან მართალი არა ვსთქვათო.

როდესაც დააფიცეს და სათითაოდ ჰკითხეს, რაც-კი ნამდვილად ენახათ, ყველა იმას იმეორებდა, მაგრამ საწყალს გლეხებს თან ეშინოდათ, ვაითუ მართლის თქმისათვის სახელმწიფო ტყეში აღარ შეგვიშვანო.

ესე იყო ეს საქმე. ღვთის მადლით, გამოძიება გათავდა და ახლა მალე სამართალიც გადიჭრება. მაშინ ვნახავთ, რამდენად მართალი საბუთი ჰქონდა სახაზინო მამულების წარმომადგენელს და ანანიაშვილებს დავის გამოცხადებისა და რომელი მათგანი ჩემულობდა იმას, რაც სინიდისითა და სამართლით თითონ არ ეკუთვნოდა...

X. X.

## მილიონები

წერილები დე-გრანმონისა

(შემდეგი*)

18 ივნისის განმავლობაში ნატანს ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. იგი გაფაციცებით ჰკითხავდა ბრძოლის ამბავს პოცცო-დი-ბორგოს, გენერალს ალავას, ბარონ მიუფლინგს და ხან შიში აიტანდა ხოლმე, ხან იმედი უკეთებდა გულს. აქ, ამ მწვანე ველზედ, სადაც ევროპის ბედ-იღბალი სწყდებოდა, იმისი ბედიც უნდა გადამწყდარიყო. ამ ბრძოლაზედ იყო დამოკიდებული მთელის ნატანის ქონების ბედი და უბედობა, მაგრამ ბედმა არც აქ უღალატა ქუდ-ბედიანსა და გამჭრიახს ებრაელს: ნატანმა დაინახა, რომ უძლეველი ჯარი საფრანგეთისა აგანგალდა, შეიძრა, და მისვდა, რომ ეხლა-კი აღარა მაშველი-რაო.

მაშინვე მოახტა ნატანი ცხენს და ერთი პირველთაგანი მოვიდა ბრიუსელს. აქ მაშინვე ფოსტის ეტლში ჩაჯდა და მეორე დღის დილას უკვე ოსტენდეში იყო. ზღვა ისე ძლიერ ღელავდა და ბობოქრობდა, რომ არც ერთი მენავე არა კისრულობდა იმის გადაყვანას. ამათ აძლევდა იგი 250, 300 და 500 მანეთსაც-კი, მაგრამ არავის უნდოდა თავი მიენდო შეუბრალებელ ტალღებისათვის. ბოლოს დასთანხმდა ერთი ღარიბი კაცი, იმ პირობით, რომ 1,000 მანეთი ეხლავე ჩემს ცოლს გადაეცი, რომ, ვინიცობაა დავიღუპო, ჩემს ოჯახს მაინც არ დაეკარგოს ეგ ფულიო.

ზღვა ჩქარა დაწყნარდა და იმავ დღის საღამოს ნატანი მშვიდობიანად გადმოვიდა დუვრში. იგი დაღლილობისაგან ფეხზედ ვეღარ იდგა, მაგრამ მაშინვე იშოვნა ფოსტის ცხენები და გაქანდა ლონდონისაკენ. მეორე დღეს იგი უკვე თავისს ადგილას იყო ბირჟაზედ, ფერწასული, დაღონებული, თითქო დიდი უბედურება რამ სწვევოდესო. ბირჟაზედ ერთი ორონტრიალი იდგა, მით უმეტესს, რომ თვით როტშილდი დაღონებული იყო და ამიტომ კარგს არას მოელოდნენ. ყველამ იცოდა, რომ იგი ახლად დაბრუნებული იყო შორის გზიდგან და რომ იმისი აგენტები, რაც-კი შეეძლოთ, ჰყიდნენ აქციებს.

დიდს, გულ-ჩახუთულს დარბაზში, სადაც არა-ჩვეულებრივი სიჩუმე და დუმილი იდგა და მხოლოდ იშვიათად გაისმოდა ხოლმე ვისიმე ხმა, მობირჟენი ტანჯულთა სულთაებრ დადიოდნენ აქეთ-იქით და საჩურჩულო მასალად დიდებულის მეფინანსეს დაღონებულობა გაეხადნათ. უეცრად ხმა გავარდა, რომ როტშილდს უთქვამს ერთის თავისის მეგობრისათვის: ბლიუხერს 117,000 პრუსიელი დაუხოცეს და ველინგტონი ვეღარ უდგება წინ ძლევა-მოსილს ნაპოლეონსაო. ეს ახალი ამბავი ოთხივ-კუთხივ მოედო ელვაზედ უსწრაფესად, ფონდებმა მეტისმეტად დაიწია და ყოველივე იმედიც გაჰქრა.

*) იხ. „ივერია“ №№ 97, 98, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 126 და 127.

---

ქირო: უნდა თხოვნა დაწერილიყო და თხოვნაზედ ბევრს უნდა მოეწერა ხელი. ამას დევნა და ლაპარაკი უნდოდა, ქადაგება და ღაღადი ჟურნალ-გაზეთობაში, პარლამენტის დეპუტატების მომხრეობა და მფარველობა და სხვანი. ბოლოს, როგორც იყო, ყოველივე ესეც გაკეთდა, მაგრამ ახლა კანონ-პროექტი უნდა შემდგარიყო. აი შესდგა კანონ-პროექტიც. მაგრამ იმისი განხილვა დღეს გადიდო, ხვალ, ზეგ და ასე და ამ ნაირად აღარ ეღირსა ჯერი განხილვისა. როცა ბოლოს მოახსენდა პარლამენტს ეს კანონ-პროექტი, პარლამენტმა უარჰყო და არ შეიწყნარა. მოსწყდათ წელი ყველას, ვინც თანაუგრძნობდა დედაკაცების მიერ მკურნალობისა და ექიმობის სწავლას. ყოველმა შრომამ და ჯაფამ უქმად ჩაიარა. პარლამენტმა არ შეიწყნარა ეს საქმე, სამკურნალო ფაკულტეტების იმედი ხომ სულ აღარ იყო და რაღა დარჩა?

დარჩა მხოლოდ ერთი გზა და ახლა ამ გზას მიჰმართა იმ საკვირველმა ოთხმა ქალმა. ეს გზა იყო დაარსება სამკურნალო სკოლისა კერძოდ და საკუთრად ქალებისათვის. მალე შესდგა ცალკე კომიტეტი ლონდონში და დიდხანს არ გაუვლია, რომ ამ კომიტეტმა დააარსა ასეთი სკოლა. კომიტეტმა უშოვა ამ სკოლას სამკურნალო პრაქტიკულის მუშაობისათვის და ბოლოს ისიც მოახერხა, რომ პარლამენტმა შეიწყნარა კანონი, რომლის ძალითაც უნივერსიტეტებს-კი არ ებრძანათ, მაგრამ ნება-კი მიეცათ, დედაკაცებისათვისაც დაეჭერინებინათ ეგზამენი და ღირსეულთათვის ეძლიათ დიპლომები მკურნალობისა. ამის შემდეგ-კი გაიმართა საქმე და ქალების მიერ მკურნალობის სწავლას დაბრკოლება აღარა დახვედრია-რა. ქალების კერძო და საკუთარი სკოლა უფრო და უფრო წარმატებაში შედიოდა და დღეს ხომ ამ სკოლას 18 საკუთარი პროფესორი ჰყავს. ამათში ხუთი ქალია. ქალებს უჭირავთ შემდეგი კათედრები: ანატომიისა, შინაგანის პატალოგიისა, სადედაკაცო ავადმყოფობათა, სამოსამართლო მედიცინისა და ჰიგიენისა. ლონდონის მაგალითს მალე სხვა ქალაქებმაც მიჰბაძა და დღეს ქალების საკუთარი სამკურნალო სკოლები დაარსებულია ედინბურგშიაცა და დუბლინშიაც.

ინგლისის სამფლობელო ქვეყანაში, რომელსაც ინდოეთი ჰქვიან, უფრო უკეთ წავიდა ეს საქმე, ვიდრე თვით ინგლისში. 1885 წელს იქ დაარსდა ლორდ დეფერინის მოთავეობითა და დედოფალის ვიქტორიას მფარველობით დიდი ფულიანი ამხანაგობა, რომელსაც საგნად ჰქონდა, რაც შეიძლებოდა, ბლომად აეზარდნა ამ დიდის ქვეყნისათვის (200 მილიონი ხალხია ინდოეთში) დედაკაცი მკურნალი, ბებია და სნეულთა მომვლელი. ეს ამხანაგობა ჰმართავს საქალებო და საყმაწვილო სამკურნალოებს და მათ გამგეობას აბარებს მკურნალ-დედაკაცებს, აძლევს ფულს ქალებს მკურნალობის სასწავლებლად და სხ. სამკურნალო ფაკულტეტები უნივერსიტეტისა კალკუტაში, ბომბეიასა, მადრასსა და ლაგორში სავსეა მოსწავლე დედაკაცებით, რომელნიც ყოველ-წლივ ათობით იღებენ მკურნალობის დიპლომებს. ამ ჟამად ინდოეთში ასზე მეტი დედაკაცი მკურნალობს დოქტორის ხარისხით. უმეტესი ნაწილი ამ ექიმის დედაკაცებისა თვით ინდოელი ქალები არიან...

ევროპის ზოგიერთს ქვეყნებშიაც კარგად მიდის დედაკაცების სამკურნალო განათლების საქმე, მაგალითებრ, შვეიცარიაში, ამ ჟამად 100-ზე მეტი სტუდენტი ქალია.

გერმანიაში ადრე დაიწყო ეს საქმე, მაგრამ მერე თანდათან მთავრობამ შეავიწროვა და ბოლოს 1880 წელს სულ აუკრძალა დედაკაცებს მკურნალობის სწავლა. მაშინვე მიართვეს იმპერატორს თხოვნა, მრავალთაგან ხელ მოწერილი, რომ კვლავ ნება დაერთოთ დედაკაცთათვის მკურნალობის სწავლისა, მაგრამ დღესაც ამ თხოვნის პასუხი არა სჩანს. ბელგიასა და ისპანიაში, აგრეთვე სკანდინავიაშიაც ახლა-ხან დაიწყეს დედაკაცებმა სწავლა მკურნალობისა. იტალიაშიაც მხოლოდ 1876 წლიდამ მიეცათ ნება დედაკაცებს უნივერსიტეტებში მკურნალობის სწავლისა. დღეს კარგა ბლომად არიან ამ ქვეყანაში მკურნალი დედაკაცნი. თვით დედოფლის მკურნალი დედაკაცია. კატანის ქალი, რომელმაც ბოლონიის უნივერსიტეტში გაათავა კურსი, პროფესორად არის პიზის უნივერსიტეტში და კითხულობს შინაგანის პატალოგიის ლექციებს.

იაპონიაშიაც-კი გაჩნდა ამ ბოლოს დროს მკურნალი დედაკაცები. იაპონიის იმპერატრიცის მკურნალია იაპონიელივე დედაკაცი, რომელმაც ჩრდილო-ამერიკაში გაათავა კურსი მკურნალობისა და რომელსაც დიდი პრაქტიკა აქვს იაპონიის სამეუფო ქალაქში იაპონელ დედაკაცებსა და ქალებ შორის...

უკანასკნელ ხანებში სპარსეთშიაც გაჩნდნენ მკურნალი ქალები, რომელნიც ტომით რუსები არიან.

თვით რუსეთში ბოლო დრომდე საქმე დედაკაცების მიერ მკურნალობის სწავლისა კარგად მიდიოდა, რადგან მათთვის ცალკე კურსები იყო დაარსებული, მაგრამ ბოლოს დროს აკრძალულ იქმნა კურსებზე ქალების მიღება. ეხლა ხმები ისმის, რომ დედაკაცთათვის კვლავ დაარსდება სამკურნალო სასწავლებლებიო...

ევროპის ქვეყნებში მხოლოდ ავსტრი-ვენგრია არ აძლევს ნებას დედაკაცს მკურნალობისას. მკურნალობის სწავლა ხომ სრულიად აღკრძალულია...

გ. ყ.

მთელი ის დღე და მეორე დღის დილა ყველანი საშინელს უიმედობაში იყვნენ. მხოლოდ შუადღის შემდეგ გაისმა ხმა, რომ ნაპოლეონი დამარცხდაო. თვით ნატანი უამბობდა ყველას გახარებულის სახით. საბირჟო კურსმა იმავ წამს აიწია. ყველას როტშილდი ენანებოდა, ანგარიშობდნენ — რამდენი ზარალი უნდა მოსვლოდესო, და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ როტშილდს ადრევე ჰქონდა გაკეთებული საქმე, რომ იმის აგენტები დაწყევისას დიდ-ძალს აქციებსა ჰყიდულობდნენ და რომ როტშილდმაკი არ იზარალა, პირ-იქით, იგი ათ მილიონ მანათს ნაღდს მოგებას იყო.

ზავის შეკვრამ როგორც ევროპის რუკა შესცვალა, აგრეთვე სახელმწიფო სესხის წესსა და რიგსაც ნირი უცვალა. დიდნი სახელმწიფონი თითქმის ერთიან გაღატაკებულნი იყვნენ ნაპოლეონთან ბრძოლით, რომელიც მარტო ინგლისს 9,000 მილიონი მანათი დაუჯდა. ძველს საშუალს — გადასახადის გაწერას კვლავ ვერ მიჰმართავდნენ, რადგან, ჯერ ერთი, ომით ერიც იყო გაღარიბებული და დიდის გადასახადის ხდას ვერ შეიძლებდა და მეორე, სალიბერალო აზრებს საფრანგეთისას მეტად ძლიერა ჰქონდა ძირი გადგმული მკვიდრთა შორის. სხვა რამ ღონე უნდა ეპოვნათ და ეს ღონე ის იყო, რომ ფული უნდა კერძოდ ესესხნათ ვისგანმე. ნატან როტშილდი პირველად მიხვდა რა სარგებლობაც გამოდნებოდა ამ სესხებით და ამიტომ ხელიც მაგრად ჩასჭიდა ამ საქმეს.

როტშილდს მეტად დიდი ადგილი ეჭირა, მეტად პატიოსან და შემძლე ფინანსისტის სახელი ჰქონდა გავარდნილი და ამიტომ ადვილადაც მოუყლიდა თავს ამ ახალ საფინანსო ოპერაციას. მართლაც იმას მიჰმართეს სახელმწიფოებმა და 1818 წლიდგან 1832 წლამდე ნატანმა სესხად უშოვნა პრუსიას 106 მილიონი მანეთი, რუსეთს $43\frac{1}{2}$ მილიონი, ავსტრიას 26 მილიონი, ამდენიმე ნეაპოლიტანის სამეფოს, ბრაზილიას 35 მილიონი, ბელგიას 25 მილიონი. სულ მარტო ლონდონში $261\frac{1}{2}$ მილიონი მანათი შეაგროვა როტშილდმა სესხად სხვა-და-სხვა სახელმწიფოსათვის.

მას შემდეგ ამ საქმემ ფეხი მალიან წადგა წინ და დიდნი სახელმწიფონი მილიარდობითა სესხულობენ ფულებს, მაგრამ მაშინ ახალი საქმე იყო და შუამავალს, ფულის მშოვნელს დიდს ჯილდოსაც აძლევდნენ სახელმწიფონი შრომისათვის, ვიდრე ეხლა აძლევენ. ამ გარემოების დასასურათებლად ის ამბავიცა კმარა, რომ ერთის ამ სესხთაგანის შოვნისათვის ნატანს ჯილდოდ 750,000 მანათი ნაღდი მისცეს და ამ ფულით როტშილდმა Gunnersbourg-house იყიდა, რეზიდენცია პრინცესა ამალიასი, მეფე გიორგ მე-III დეიდისა.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

19 ივნისი

ვენა. ბრიუნიდამ იუწყებიან, რომ მექარხნეთა და მუშათა მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყვაო. დღეს პირი შეჰკრეს და მუშაობაზე ხელი აიღეს ფეიქრებმა და რკინეულობის ქარხნების მუშებმა. მთავრობამ სიფრთხილისათვის ღონისძიება მიიღო. როსსიცასა და უბეშაუს ჯერ ისევ ხელი აქვთ აღებული მუშაობაზე რამდენსამე ათას რკინის გზისა და მადნების მუშებს. იქ ჯარებია გაგზავნილი.

ლონდონი. გუშინ შეიპყრეს კარკში ვილიამ ო'ბრაინი, რადგან დაესწრო მოიჯარადრეთა კრებაზე, რომელიც აკრძალული იყო პოლიციის მიერ და რომელიც მაინც შესდგა კარკის ახლო-მახლო. ერმა წინააღმდეგობა დაუწყო პოლიციას ო'ბრაინის შეპყრობისათვის. პოლიცია დაერია ხალხს კეტებით და ბევრნი დასჭრა და დააშავა. დაშავებულთა შორის აღმოჩნდა დეპუტატი პატრიკ ო'ბრაინიც. ჩარნევილის რკინის გზის სადგურზე ხალხმა სცადა ძალით გაენთავისუფლებინა ვილიამ ო'ბრაინი, რომელიც რკინის გზით მიჰყავდათ შეიარაღებულს პოლიციელებს კიონშელში, მაგრამ აქ პოლიციელებმა დაუწყეს სროლა ხალხს და ორი კაცი დასჭრეს. დღეს ო'ბრაინი გაანთავისუფლეს, ბეის წარდგენის შემდეგ.

დღეს მოვიდნენ ლონდონს სპარსეთის შაჰი და გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივნისი

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 74 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 155 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 271 |
| —მეორისა | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი — უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის.

21 დღე ოთხშაბათი. წმ. დიდთა მოწამეთა საქართველოს მეფეთა არჩილისა და ლუარსაბისა. კათოლ. წმ. ალოიზისა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-5 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—29, ჩადის 7—38. მთვარე 4 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა | „ | 10 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |


## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

А. А.



ЗОЛОТАЯ

# ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—32) ა. თუთაევი



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 › | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 › | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 › | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 › | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 › | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბახტაძის სახლში, № 5.


Доз. ценз. Тифлисъ 19-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка, на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე